

ნ.ბ. ზ. ფორჩხიძის



№ 4 (1278) თებერვალი 1968

— ახლაც მუშაობით, ცნობები გაკლიაო?..

# საქსი

გამოცემის 45-ე წელი ფასი 20 კპ.

გაზეთი „თბილისის“ პირველი  
ნომრის ათი წლისთავის გამოს



„თბილისო“, ჩემო „თბილისო“,  
დაბადების დღეს გილოცავ!  
მოპოვინე სიტყვის ნათელი  
საქმეს საშვილიშვილოსა!

ათასჯერ ათას ხუთასი  
წლისთავი გადაგეხადოს,  
ხალხის ფიქრი და ოცნება  
ფურცლებზე მუდამ გეხატოს!

„ნიანაი“

1. 68

# ს ა მ რ ა ნ ი გ უ ლ ა კ რ ე უ ნ ი

## ცამცუმი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო ერთი ჭაბუკი, სახელად ცამცუმი. ცამცუმის მამა აკადემიკოსი იყო, დედა — პროფესორი.

დაამთავრა ათწლედანი ცამცუმმა ოქროს მედლით და უთხრა მშობლებს:

— ჯერ ქარხანაში წავალ, ერთ ორ წელიწადს ვიმუშავებ, გავეცნობი ცხოვრებას და მერე ჩავაბარებ უმაღლესში.

მშობლებმა იცოდნენ ცამცუმის ხასიათი და უარი აღარ უთხრეს.

დაიწყო ცამცუმმა ქარხანაში მუშაობა. სხვა თუ ასი პროცენტით ასრულებდა დღიურ გეგმას, ცამცუმი — ორასისამასით.

ორი წლის შემდეგ ცამცუმმა უთხრა მშობლებს:

— იცოდეთ, ახლა უმაღლესში უნდა ჩავაბარო და არავის უთხრათ, მე რომ თქვენი შვილი ვარ, თორემ ცხრა მთას იქით გადავიკარგები და იქ ჩავაბარებო.

მშობლებმა თანხმობა უთხრეს ცამცუმს. ანდა სხვა რა უნდა ექნათ, როცა იცოდნენ მისი ხასიათი.

ცამცუმმა ვეტერინალურზე ჩააბარა და ყველა საგანში ხუთიანი მიიღო.

ინსტიტუტში ფრიალზე სწავლობდა და წარჩინებითაც დაამთავრა.

— არ მინდა ასპირანტობა, არც დისერტაციის დაცვა, მინდა სვანეთის რომელიმე სოფელში წავიდე ვეტერინარად, — უთხრა ცამცუმმა აკადემიკოს მამიკოს და პროფესორ დედოქოს.

— როდის იყო ჩვენი სიტყვა გჯეროდა, ახლა რომ დაიჯეროო, — უპასუხეს მშობლებმა ცამცუმს.

წავიდა ცამცუმი სვანეთის ერთ-ერთ სოფელში ვეტერინარად და კურნავდა სნეულებისგან მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსან საქონელს.

ჭირი იქა, ლხინი აქა.

ქათო იქა, ფქვილი აქა.

## ამირანი

იყო და არა იყო რა, იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი თქვენი მწყალობელი. იყო ერთი კაცი, სახელად ამირანი. ყველაფერი ჰქონდა ამირანს — სახლი, კარი, სასმელი და საჭმელი, ჰყავდა ცოლი და შვილები. ერთი რამ აწუხებდა მხოლოდ: ტელეფონი არ ედგა ბინაზე.

ერთხელ ამირანს ცოლმა ურჩია:

— წადი ატეესში, ტელეფონი ითხოვი და დაგიდგამენო.

— ეგ მართლა კარგი რამ მითხარიო, — მიუგო ამირანმა ცოლს.

მივიდა ატეესში ამირანი. უფროსის კარებთან ქალი იჯდა, ტანი ალვის ხეს მიუგავდა, თვალები — ზღვას, თმები სისხლისფერი ჰქონდა.

— მე ამირანი ვარ, ტელეფონი არა მაქვს და მინდა დავიდგაო, — უთხრა მზეთუნახავს ამირანმა.

— მერე აქამდის სად იყავიო? — ჰკითხა მზეთუნახავმა ამირანს და უფროსთან შეიყვანა.

— ზვალ გამოიარეთ და დაგიდგამთო, — უთხრა უფროსმა ამირანს.

მეორე დღეს ამირანი მივიდა უფროსთან. ის მზეთუნახავი ისევ იქ იჯდა.

მაგიდასთან ქალი იჯდა,  
ზღვასა ჰგავდა თვალნი მისი,

თითებსა და თითებს შუა  
წიგნი ჰქონდა ქალადლისი.  
წაიკითხა ამირანმა,  
შიგ ეწერა გვარი მისი:  
ტელეფონი დაუდგითო,  
ეკუთვნისო, ალაღ მისი!

დაბრუნდა ამირანი სახლში და ტელეფონი დადგმული დახვდა...

ასე დაუდგეს ერთ დღეში ამირანს ტელეფონი.

## როსტომი და ბეჟანი

იყო ერთი დაწესებულების დირექტორი, სახელად როსტომი — მკაცრი და მრისხანე. როსტომს ცის ქუხილს მიუგავდა ხმა. როცა უნდა დაეყვირა, ერთი რკინის სალტე ჰქონდა და იმას იდებდა ხოლმე თავზე, რომ თავი არ გააკლომოდა.

ერთი თანამშრომელი ჰყავდა როსტომს, სახელად ბეჟანი, წვრილშვილის პატრონი და მხდალი.

ერთხელ დაწესებულებაში კრება მოიწვიეს, თავმჯდომარედ როსტომი აირჩიეს და სიტყვა ბეჟანს მისცეს. ბეჟანმა მკაცრად გააკრიტიკა როსტომი.

წამოდგა როსტომი, თავზე რკინის სალტე მოირგო და დაიქუხა:

— ერთი საფეხურით დააწინაურეთ ბეჟანიო.

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,  
ქალას ჩიტი მამკვდარიყო,  
დიდ ქვაბში არ ეტეოდა,  
პატარაში ლაღად იყო.

# გუვილოზით, დიღო ხელოვნებაჲს!

დიხს! საბოლოოდ გადაწყვიტე, გამოვეთხოვო ხელოვნებას, რომელ-საც ოცი წლის განმავლობაში თავდადებულად ვემსახურებოდი. ჩემთვის ეს წარმოდგენელია, მაგრამ რას იზამ? ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს! ამ დასკვნამდე თვითონ არ მივსულვარ, ჩემმა უძველესმა მეგობარმა სტასიკა-კლოუნმა ამიხილა თვალები, შემაგნებინა, რომ ჩვენი დრო წავი-და.

ყური მიგდეთ, ყველაფერს თავიდან გიამბობთ: ეს ამბავი კვირა დღეს მოხდა. უქმეებზე ყოველთვის მეზარებოდა ხოლმე მანუქზე „მუშაობა“: ხუმრობა ხომ არაა, ერთ დღეში სამჯერ გამიხვიდე მაყურებლის წინაშე?! ჩემი ნომრის მოლოდინში ფარდის მიღმა ვიდექი და წარმოდგენის მსვლელობას ვადევნებდი თვალს.

აკრობატებმა დაამთავრეს თუ არა გამოსვლა, მოპირდაპირე მხრიდან, როგორც ყოველთვის იცოდა ხოლმე, წივილ-კივილით გამოვარდა სტასიკა. თავისი უშველელბელი ჩემოდანი და ფეხსაცმელები ძლივს გადაიტანა ხარი-ხანზე, არენაზე მტვრის კორიანტელი დააყენა და ცენტრში დაერჭო. მერე დატრიალდა და ხალხის მისასალმებლად დაადო პირი.

— გამარჯობაააა!.. — დაიძახა ვიღაცამ იარუსებიდან. სტასიკა გა-შეშდა, ბოროტად ახედა იარუსებს, მაგრამ იხტიბარი არ გაიტება და სიტყვის გაგრძელება დააპირა.

— საბურტალოში! საცივი, ჩახხბილი! ლობიო! — აყვირდნენ ახლა სხვა მხრიდან. საწყალი კლოუნი დაიბნა, პირდაღებული აცეცებდა თვა-ლებს.

საქმეში ჩვენი პროგრამის წამყვანი ვლადიმერ ანტონოვიჩი ჩაერია:

— ნუ სტასიკ, კაკ დელა? ოტკუდა პრიესხალ?

სტასიკა შემოტრიალდა, უნებურად ფეხი წამოსდო თავის ჩემოდანს და მე მივხვდი, როგორ უნებრხულად დაეცა ჩემი მეგობარი. ხალხმა სიცილი ატება, მერე ტაშიც დასცხეს. სტასიკამ იხტიბარი ახლაც არ გაიტება, წა-მოღდა და აყვირდა:

— ვაიმე დიედაა!.. — თან სიმწრისგან ატირდა, თბილი, მლაშე ცრემ-ლები ჩამოუვლოდა სტაფილოსფერ ლოყებზე. მერე უშველელბელი გასაღე-ბი დააძრო შარვლის უკანა ჯიბიდან, ჩემოდანზე დამაგრებული ციკქნა ბოქლომი გახსნა და ჩანგალი და წითელი ვაშლი ამოიღო. ერთ ხანს ხელში ათამაშა ისინი, მერე ჩანგალი ტარით ჩაიდო პირში, ვაშლს მალდა შეის-როდა და ჩანგლით იჭერდა. ეს მისი უპირველესი ნომერი იყო. სტასიკა წინა რიგებში მსხდომ მაყურებლებს მიუახლოვდა, ერთ-ერთს მიაწოდა ვაშლი — მესროლოეო. ესროლოეს, კბილებში გარჭობილ ჩანგალზე წამოაცვა, კიდევ მიაწოდა ვიღაცას, იმანაც ესროლა, ისევე დაიჭირა. ახლა ზემო რი-გებში ისროლა, იქ კი ვიღაც უსინდისო ყმაწვილი ეცა ვაშლს, სახელოთი გაწმინდა და... გემრიელად შეექცა. კბილებში ჩანგალგარჭობილი სტასი-კა ერთ პოზაში გაშეშდა, ცოტა ხანს უყურა ახალგაზრდას, ვაშლს რომ მიირთმევდა, მერე გამოტრიალდა და წივილ-კივილით მიატოვა არენა.

სტასიკა კულისებში შემოვარდა, აღელვებული ჩანდა, მერე თითქოს დამშვიდდა და მე მომიბრუნდა:

— ეპ, მორჩა ჩვენი დრო, თავი უნდა დავანებოთ ცირკს. წავალ, დი-რექტორს განცხადებას დაეუწერ. — მითხრა და ნელა გაუყვა ჩაბნელებულ დერეფანს.

ჩემი გამოსვლის დრო იყო. მე უგუნებოდ, ნაძალადევი ღიმილით გა-ვედი არენაზე. აბა, რაღა ხალხის მექნებოდა? დავიწყე „მუშაობა“: ჯერ ჩე-მი ცილინდრი დავანახე ხალხს, მერე იქიდან სათითაოდ ვიღებდი კურდ-ღლებს, მამლებს, თავგებს და მანუქზე ვუშვებდი... დარბაზი გულგრილად ადევნებდა თვალს ჩემს ოსტატობას, მხოლოდ ერთხელ ახმაურდნენ — ასისტენტმა მამალი რომ ვედარ დაიჭირა. ნომერი დავამთავრე. კანტიკუნ-ტად გაისმა ტაში, მერე გარკვევით გავიგე ჩემს პირდაპირ, მეორე რი-გში მჯდომმა ათიოდე წლის ბიჭმა თქვა:

— მაგას ვინ ჭამს. ეგ ყველაფერი ქუდში კი არა, სახელოში ჰყავდა დამწყვედულიო.

გაოგნებული გამოვბრუნდი და გრიმომოპირებლად დირექტორის კა-ბინეტისკენ გავეშურე.

იქ ვიღაც კაცი დამხვდა ძალღით.

— ჩვენი ნომერი მსოფლიოში უნიკალურია: ჩემი „ბაიკალა“, უკან ფეხებზე დგება, „ტვისტს“ ცეკვავს, ორღანზე უკრავს, ხატავს და ყურე-ბით მარყუჟს კრავს, — უხსნიდა მოსული.

— რომელი ძაღლი? — იკითხა დირექტორმა უინტერესოდ.

— მე მგონია, ჩემს გარდა აქ ძაღლი არავინაა... — თქვა... ძაღლმა.

— ევეჰ... ვინ ჭამს ახლა მაგას! — თქვა დირექტორმა და მე მომიბ-რუნდა, — შენ რაღა გინდაო.

— აბა, რაღა მეტქმოდა, შემოვტრიალდი და გამოვედი კაბინეტი-დან.

ასე გამოვემშვიდობე დიდ ხელოვნებას.



ნ.ბ. ზ. ფორხიძისა


— დააკვდევით თქვენი სიცოცხლე!  
— კაცო, შენ კიდევ ცოცხალი ხარ?!

ისრაელის პრემიერ-მინისტრი ლევი ეშკოლი გან-გრძობს მოგზაურობას დასავლეთის ქვეყნებში. მას თავი მოაქვს სამართლიანი სამყაროს მოციქულად ახლო აღმოსავლეთში. ეს მაშინ, როცა ამერიკის შეერთე-ბული შტატები დათანხმდნენ, გაუგზავნონ ეშკოლის მთავრობას „ა-4 სკაიხოკის“ ტიპის 48 გამანადგურებე-ლი თვითმფრინავი.



ნ.ბ. ზ. ლომიძისა






უბეჭებელი

ნახ. გ. ზირცხალავასი



უბეჭებელი



უბეჭებელი

# საზღვარგარეთელი სპორტსმენი

ბიზნისი

— რა აჩვენებ, ტომი, შენს პატარა ძაბიკოს?  
— რა და... კბილები რომ არ გქონდეს, არც თმები და ფეხზეც ვერ დგებოდე, შენ უფრო მეტად იჩხვლებდი.

— ამოიღე თქვენმა ბავშვმა ენა?  
— ამოიღე კი არა, ახლა იმას ვასწავლით, რომ გაჩუმდეს.

ალტარბუღი დედიკო: სულ ასე იცინის, ამას ვენაცვალე! მშენებრად კამბ, ფაფას, რძეს... უკვე ერთი წლისა მყავს, რვა თვიდან ფეხზე დადის...

თავმჯობინებელი სტუმარი: მართლა?... ალბათ, როგორ დილადა.

— დედიკო, ერთი კვინტი შაქარი კიდევ მომეცი! — ითხოვს პატარა პეტიკმა.

— მეტი აღარ შეიძლება. შენ უკვე სამი ნატეხი მიირთვი.  
— ერთი კიდევ, დედიკო, ერთი და უკანასკნელი.

— კარგი, ოღონდ ხმა აღარ გაშავონო.  
— მაღლობთ, დედიკო... მაგრამ უნდა გითხრა, რომ დიდი უნებესყოფო ვინმე ხარ!

— ნამდვილად იპოვე ეს ჭაყვა?  
— რასაკვირველია, მამიკო.  
— ხომ არა სტყუი?  
— როგორ გეკადრება! ის კაცი ქუჩაში მთელი ნახევარი საათი ეძებდა მას.

ფრენა ბიძამისმა პირველად წაიყვანა ზოოპარკში.  
— აბა, როგორ მოგწონს ცხოველები, ფრენკ?  
— მე მგონი, კენგურუმ და სპილომ კულები უნდა გაცვალონ.

— რად ეტყუნები იმ ბულდოგს?  
— პირველად იმან დაიწყო.  
ინგლისურიდან თარგმნა ზ. გემზაშვილმა

ავტომობილისტმა მძიმე ინიციდენტის შემდეგ მძლოლი გონს საავადმყოფოში მოვიდა და იკითხა:

— სადა ვარ, სამოთხეში?  
— არა, შენს გვერდით მე ვარ!.. — უპასუხა ცოლმა.

— ეს ბატონი როსი, თქვენი ნათესავია?  
— დიახ, მხოლოდ შორეული. თხუთმეტი ძმიდან ეგ პირველია. მე კი — ნაბოლარა.

ერთმა ცრუ ოქრომჭედელმა მეგობარს აჩვენა ბეჭედი, რომელსაც უბრალო გათლილი ბროლის თვალი ეკეთა და ბრილიანტად ასაღებდა.

— რა ეღირება მაინც?  
— ორი მილიონი! — სერიოზულად მიუგო ოქრომჭედელმა.  
— ჰო, ჰო, ჰო! წარმოდგენილი მაქვს, რა ეღირება მაგის მთელი ჭიქა! — დამცინავად გაკენწლა მეგობარმა.

— კმაყოფილი ხარ შენი ქალიშვილის წარმატებებით უნივერსიტეტში?

— რა თქმა უნდა. წარმოიდგინე, ორი თვის შემდეგ ცოლად გაჰყვა თავის პროფესორს...

ერთმა ქალბატონმა შუალამისას დაურეკა პოლიციის შორიგეს:

— გეთაყვა, მობრძანდით და დააბატიმრეთ ჩემი ქმარი, საშინლად მთვრალია და ხალიჩაზე გორავს გაღეშილი...

— დიდად ვწუხვარ, ქალბატონო, მაგრამ სახლში სიმთვრალე ჩემს ფუნქციებში არ შეშოდის...

რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ აწკრილდა ტელეფონი სამორიგეოში:

— მაპატიეთ, მე ისევ ის ქალი ვარ, წელან რომ გირეკავდით: წაიყვანეთ ჩემი ქმარი. იგი უკვე გარეთ გაიჭრა...

— იცი, ამ ბოლო დროს მეც ძალიან გამიტაცა სპორტმა. ვთამაშობ...

— ტენისს? ფეხბურთს? კალათბურთს?  
— არა, ლოტოს!

იტალიურიდან თარგმნა ზაინა სპირაძე



# საბავშვო პერიკლი

ИНДЕКС 76817

16036300

საბავშვო პერიკლი

1968

